



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Empowered lives.
Resilient nations.

პრეს-რელიზი

ციფრული ტექნოლოგიები ღია პარლამენტისთვისთვის საქართველოში

თბილისი, 13 მარტი 2018 -- საქართველოს მოქალაქეები საპარლამენტო საქმიანობას ელექტრონულად მიადევნებენ თვალს. მობილური აპლიკაციისა და პარლამენტის ვებ-გვერდის საჯარო ინფორმაციის მოდულის გამოყენებით შესაძლებელი იქნება პარლამენტის საჯარო ინფორმაციის გაცნობა, საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართვა და პარლამენტში შეკითხვების გაგზავნა. ახალი ტექნოლოგია შემუშავებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.

ელექტრონული სერვისების წარდგენა 2018 წლის 13 მარტს, საქართველოს პარლამენტში გაიმართა. ღონისძიებას პარლამენტის წევრები, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

“ელექტრონული სერვისების მეშვეობით პარლამენტის საჯარო ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდება, ხოლო მოქალაქეები საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია საკანონმდებლო დიალოგისა და ელექტრონული პარლამენტის განვითარებისაკენ,” - განაცხადა საქართველოს პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ფრუიძემ, ღონისძიების გახსნაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ელექტრონული სერვისების დანერგვა ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული.

ვინსენტ რეიმ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსმა, ხაზი გაუსვა სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოქალაქეებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას საკანონმდებლო დიალოგის მისაღწევად. “დემოკრატია ევროკავშირის საკვანძო ღირებულება და ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საფუძველია. ახალი სისტემა პარლამენტის მიმართ ევროკავშირის ხელშეწყობის მაგალითია. იმედი გვაქვს, რომ მისი მეშვეობით საკანონმდებლო პროცესი უფრო ღია და ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს მოქალაქეებისათვის”, - განაცხადა ვინსენტ რეიმ.

ღონისძიების მონაწილეებს ასევე მიმართეს გიგი ბრეგამემ - UNDP-ის პროგრამული ნაწილის მოქმედმა ხელმძღვანელმა, და ლევან ავალიშვილმა - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორმა, რომელმაც პარლამენტის ახალი ელექტრონული სერვისების უნიკალურ ფუნქციებზე ისაუბრა.

“აპლიკაციის GeoParliament App მეშვეობით შესაძლებელია მობილურიდან ადევნო თვალი პარლამენტის მუშაობას, გააგზავნო კომეტარი კანონპროექტზე, გაეცნო დღის წესრიგს, საპარლამენტო და ბიუროს სხდომების განრიგს, საპარლამენტო განხილვებისა და ახალ კანონმდებლობაზე მსჯელობის თარიღებს. საჯარო ინფორმაციის მოდული, რომელიც პარლამენტის ვებ-გვერდშია ინტეგრირებული, აადვილებს წვდომას პარლამენტის საჯარო ინფორმაციაზე და შესაძლებლობას იძლევა ელექტრონულად გამოითხოვო ინფორმაცია პარლამენტის ბიუჯეტის, ხარჯებისა და შესყიდვების შესახებ“, - თქვა ლევან ავალიშვილმა.

ღია პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ნაწილია, რომელიც მსოფლიოს 75 ქვეყანას აერთიანებს. მიმდინარე წელს საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყნის როლს ასრულებს

და 2018 წლის ივლისში OGP-ის მეხუთე ყოველწლიურ სამიტს უმასპინძლებს. ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ხელს უწყობენ ღია პარლამენტის განვითარებას მათი უფრო ფართო ინიციატივის ფარგლებში, რომელიც საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის გამტკიცებას ემსახურება.

საკონტაქტო ინფორმაცია

- ანა გოჩაშვილი, საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი, +995 599 999908, agochashvili@parliament.ge
- სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org
- თამარ მიქაძე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, +995 32 2943763, tamriko.mikadze@eeas.europa.eu
- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge